# პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2015 წლის 19-20 თებერვალი)

2015 წელი

www.ombudsman.ge

# სარჩევი


1. შესავალი ..... 3
2. ქალი პატიმრის ციხეში მიღება და ტრანსპორტირება ..... 4
3. უსაფრთხოება ..... 6
4. პატიმრობის პირობები ..... 6
   4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ..... 6
   4.2. პირადი ჰიგიენა ..... 8
   4.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები ..... 9
5. სამედიცინო მომსახურება ..... 12
   5.1. რეპროდუქციული ჯანმრთელობა ..... 14
   5.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები ..... 15
6. დისციპლინური პასუხისმგებლობა ..... 16
7. კონტაქტი გარე სამყაროსთან ..... 17
8. დედათა და ბავშვთა მდგომარეობა ..... 18
   8.1. საცხოვრებელი პირობები ..... 20
   8.2. კვება ..... 20
   8.3. სამედიცინო მომსახურება ..... 21
   8.4. განათლება და ღონისძიებებში ჩართულობა ..... 22
9. უმცირესობის წარმომადგენელი ქალი პატიმრები ..... 23
   9.1. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები ..... 23
   9.2. ლბტ პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა ..... 24

## 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან ერთად, 2015 წლის 19–20 თებერვალს, სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ვიზიტი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა და მიზნად ისახავდა ქალი პატიმარების საჭიროებების გამოვლენას და შეფასებაზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადებას. მონიტორინგის ჯგუფი დაეყრდნო როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ასევე ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით (ბანგკოკის წესები) დადგენილ სტანდარტებს.

ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების[1] ტექნიკური ანგარიშები და ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ინახება, მოიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპოდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. ჯგუფის მოთხოვნისამებრ, დაწესებულების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იყო მათ ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

პატიმრობის კოდექსის მიხედვით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 დაწესებულება წარმოადგენს ქალთა სპეციალურ დაწესებულებას, სადაც ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან განთავსებული. დაწესებულება შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი და სპეციალური დამცავი ზღუდეებით არის გარშემორტყმული, სადაც მსჯავრდებულებზე მუდმივი მეთვალყურეობა მიმდინარეობს. ქალთა სპეციალური დაწესებულება გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა[2].

მონიტორინგის დროს დაწესებულებაში სულ 272 სრულწლოვანი ქალი პატიმარი იმყოფებოდა, აქედან 52 ბრალდებული და 220 მსჯავრდებული, მათ შორის ერთი იყო ორსულად, ხოლო 3 ქალს ჰქონდა მისჯილი უვადო თავისუფლების აღკვეთა.

---

[1] სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, მერი მაღლაფერიძე, ეკატერინე სხილაძე, თამარ ავალიანი, ლალი წულეისკირი, ნათია გოგოლაშვილი, სალომე უგრეხელიძე, ხათუნა ჭყოიძე.

[2] პატიმრობის კოდექსი, მუხ.12[3]

## 2. ქალი პატიმრის ციხეში მიღება და ტრანსპორტირება

მონიტორინგის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ N5 დაწესებულებაში პატიმრების მიღების დროს ხდება მათი შიშველი შემოწმება, ამასთან, პატიმრებს სთხოვენ გააკეთონ ბუქნები, რაც პატიმართა შეფასებით დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის შემოწმება ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საპატიმრო დაწესებულების დატოვების და დაბრუნების ყველა შემთხვევაში. პატიმართა განცხადებით, ეს პროცედურა განსაკუთრებით დამამცირებელი და მძიმეა მენსტრუალური ციკლის დროს. არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული პროცედურის გამო პატიმრები უარს აცხადებენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე.

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) შესაბამისად, ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა სრული შემოწმების[3] დროს დაცული იყოს პატიმარი ქალის ღირსება და[4] შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.[5]

პატიმარმა დედებმა აღნიშნეს, რომ მათი ტრანსპორტირებისას (სასამართლოში, სამედიცინო გამოკვლევებზე) მანქანის ფურგონში არასათანადო პირობებია. ცივა, დგას მძიმე სუნი, სახურავიდან ჟონავს წყალი. მათ უწევთ გრძელ სკამებზე, ბავშვებით ხელში, ფეხებით წონასწორობის შენარჩუნება. როგორც წესი, ასეთი მგზავრობის შემდეგ აწუხებთ წელის და კუნთების ტკივილი. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, აკრძალულია პატიმრების გადაადგილება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ რთულ პირობებში.[6]

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, N5 დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულების/მსჯავრდებულების განთავსების შესახებ ინფორმაცია მათ ოჯახებს დაწესებულებაში მიღებისთანავე ეცნობებათ. ამასთან, პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში ოჯახის ინფორმირება დაუყოვნებლივ ხდება.

---

[3] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის ბრძანება N97 „პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებების დამტკიცების შესახებ“ მუხ. 32, ნაწ. 9.

[4] ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესები (ბანგკოკის წესები) წესი 19.

[5] ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესები (ბანგკოკის წესები) წესი 20 .

[6] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები/ წესი 45. 2.

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) მე-2 წესის პირველი ნაწილის თანახმად, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქალებისა და ბავშვების მიღების პროცედურებს, მოცემულ სიტუაციაში მათი განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო. ახლად შემოსული პატიმარი ქალები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი საშუალებებით, რათა კავშირი ჰქონდეთ ნათესავებთან, ხელი მიუწვდებოდეთ იურიდიულ კონსულტაციაზე, ინფორმაცია მიიღონ ციხის წესების, ციხის რეჟიმისა და რეგულაციების შესახებ და თუ სად შეუძლიათ მოიძიონ დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის გასაგებ ენაზე.

N5 დაწესებულებაში პატიმრის მიღების შემდეგ სოციალური მუშაკი მსჯავრდებულს განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს და ადგენს შესაბამის აქტს, რომელსაც პატიმარი აწერს ხელს. დადებითად უნდა აღინიშნოს არაქართულენოვანი მსჯავრდებულისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობის, დისციპლინური დარღვევის და კორესპონდენციის თარგმნისთვის დაწესებულებაში თარჯიმნის მოწვევის პრაქტიკა. ამ მიზნით, 2014 წლის განმავლობაში N5 დაწესებულებაში თარჯიმანი 26 შემთხვევაში მოიწვიეს.

ბანგკოკის წესების მე-2 წესის მეორე ნაწილის თანახმად, დაწესებულებაში მიღებამდე ან მიღების დროს, ქალებს, რომელთაც მზრუნველობის პასუხისმგებლობა აქვთ ბავშვების მიმართ, ნება უნდა დაერთოთ ბავშვთან დაკავშირებული საკითხები მოაგვარონ, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პატიმრობის გადავადება ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით. მსჯავრდებულები, რომლებიც მათი შვილების თანდასწრებით დააკავეს და რომელთაც ვერ მოახერხეს აეხსნათ შვილებისთვის, თუ რა ხდებოდა, აცხადებენ, რომ დაკავებამ დიდი გავლენა მოახდინა ბავშვების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ამასთან, არ ჰქონდათ შესაძლებლობა ბავშვი მათთვის ნდობით აღჭურვილი პირისთვის ჩაებარებინათ. აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯავრდებულს დახმარებას უწევს სოციალური სამსახური. სოციალური მუშაკი ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტოს აწვდის, რომელიც ბავშვზე პასუხისმგებლობას იღებს.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილი იქნას ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების დაწესებულებაში მიღებისა და გაყვანისას მათი შემოწმება ღირსების შელახვის გარეშე, ბანკოკის წესების 19–ე წესის გათვალისწინებით
- გაუმჯობესდეს დედათა და ბავშვთა ტრანსპორტირების პირობები, აუცილებელია ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს მგზავრების ჯანმრთელობაზე და სადაც დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა წესი

## 3. უსაფრთხოება

მონიტორინგისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას, კერძოდ, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას სწორედ ე.წ. „დინამიური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[7]

უსაფრთხოების ღონისძიების სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში სამარტოო საკანში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, ხოლო უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში - 60 დღეს. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ 2014 წლის იანვრის თვიდან დეკემბრის თვემდე უსაფრთხოების მიზნით სამარტოო საკანში პატიმრის გადაყვანის 3 შემთხვევა, ხოლო პირის სხვა პატიმრებისგან განცალკევების (უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის) 1 შემთხვევა დაფიქსირდა.

## 4. პატიმრობის პირობები

### 4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა

მონიტორინგის ჯგუფმა საშხაპეები დაათვალიერა და მათი ჰიგიენური მდგომარეობა შეისწავლა. მსჯავრდებულთა ინფორმაციით, N5 დაწესებულებაში სანიტარულ–ჰიგიენური თვალსაზრისით არც თუ მთლად სახარბიელო მდგომარეობაა. ამასთან, სასმელად უვარგისი წყალი მოდის.

N5 დაწესებულების აბაზანებში არსებითად დარღვეულია სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები. ყველა კორპუსის სააბაზანოში თითო–თითო ტრაპია, რაც არ არის საკმარისი წყლის

[7] United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22.4

გამტარობისთვის და სააბაზანოებში ფაქტიურად ჭუჭყიანი წყლის გუბე დგას. საშხაპეებს ბეტონის იატაკი აქვს და ერთმანეთისგან რკინის ჟანგიანი კედლებით არის გამოყოფილი. საშხაპეები ერთმანეთის პირისპირ იმგვარად არის განლაგებული, რომ დარღვეულია პრივატულობა. არ არის ჩართული ვენტილაცია. სააბაზანოში კედლები ნესტიანია და სველი. ერთნაირი მდგომარეობაა დაწესებულების ყველა სააბაზანოში. ზოგიერთი სააბაზანოს ფანჯარას მინები არ აქვს.

შემოწმდა სარეცხისა და სხვა პირადი ნივთების მოწესრიგების შესაძლებლობა. დაწესებულების თითო კორპუსში თითო სარეცხი მანქანა დგას. გამოკითხულ მსჯავრდებულთა ნაწილი უარს ამბობს სარეცხ მანქანაში ტანსაცმელისა თუ თეთრეულის გარეცხვაზე, რადგან არაჰიგიენურად მიიჩნევს – მთელი კორპუსის პატიმრები ერთ მანქანაში რეცხავდნენ თეთრეულს თუ ტანსაცმელს.

<u>დეტალური აღწერა კორპუსების მიხედვით :</u>

დაწესებულებაში არსებულ ყველა საცხოვრებელ კორპუსს (სადაც პატიმრები არიან განთავსებულნი) აქვს აბაზანა.

A კორპუსი - აბაზანის შესასვლელში მოწყობილია გასახდელი ოთახი, გრძელი სკამით და ტანსაცმლის საკიდით. აბაზანაში არის 8 საშხაპე. დაახლოებით 24 კვ.მ. საშხაპეები ერთმანეთისგან გამოყოფილია რკინის ტიხრებით, თუმცა ვინაიდან საშხაპეები ერთმანეთის მოპირდაპირე მხარესაა, პრივატულობის დაცვა შეუძლებელია. აბაზანის ცენტრში არის ერთი დიდი ტრაპი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს წყლის სრულ გაწოვას და ამის გამო აბაზანაში მუდმივად გუბდება წყალი, ცენტრში 1 გრძელი ხის სკამი დგას (სველი და შელახული). ოთახს არ აქვს ფანჯარა, ხოლო ხელოვნური ვენტილაცია ვერ უზრუნველყოფს მის ნორმალურ განიავებას. აბაზანის ბეტონის იატაკი და კაფელის კედლები შელახულია. საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნულ აბაზანაში არ დგას სარეცხი მანქანა. სარეცხი მანქანა მოთავსებულია ამავე კორპუსის სასადილო ოთახში.

B კორპუსის 25 კვ.მ. სააბაზანოში 6 საშხაპეა. საშხაპეების შესასვლელში არის გასახდელი ოთახი, სადაც მოთავსებულია სარეცხი მანქანა. აბაზანის ცენტრში არის ერთი დიდი ტრაპი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს წყლის სრულ გაწოვას, აღნიშნულის გამო აბაზანაში დგას წყლის გუბე. ოთახს არ აქვს ფანჯარა, ხოლო ხელოვნური ვენტილაცია ვერ უზრუნველყოფს მის ნორმალურ განიავებას. აბაზანის ბეტონის იატაკი და კაფელის კედლები შელახულია. საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

C კორპუსის სააბაზანო შედგება 2 ოთახისგან. პირველ ოთხში 11, ხოლო მეორეში 13 საშხაპეა. ორივე ოთახს აქვს ფანჯარა. პირველი აბაზანის ფართობია 18 კვ.მ, ხოლო მეორესი 17 კვ.მ. აღნიშნულ აბაზანაშიც ანალოგიურ პრობლემებია (სარემონტო, არაპრივატული გარემო,

არასაკმარისი ვენტილაცია, სინესტე, წყლის გუბეები). აბაზანის შესასვლელში მოწყობილია გასახდელი ოთახი (გრძელი სკამით და საკიდებით), რომელსაც იყენებენ სარეცხის გასაფენადაც. შესასვლელში, პატარა ოთახში დევს სარეცხი მანქანა.

ქალთა პატიმრობის განყოფილებაში სააბაზანო ოთახი შეადგენს 17 კვ.მ.-ს. 10 საშხაპეა, რომლებიც ერთმანეთისგან (დაჟანგული) რკინის ტიხრებით არის გამოყოფილი, თუმცა ვინაიდან ერთმანეთის პირდაპირ არის მოთავსებული, შეუძლებელია პრივატულობის დაცვა. სააბაზანოში 2 ტრაპია, თუმცა ვერცერთი ვერ ახერხებს წყლის გაწოვას (დგას ჟანგიანი და ბინძური წყლის გუბეები). აღნიშნულ სააბაზანოს 1 ფანჯარა აქვს (დაახლოებით 1მX0,5 მ-ზე), რომელშიც არ არის შუშა.

ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა განყოფილებაში არ არის სააბაზანო ოთახი, ხოლო ამავე შენობაში მოთავსებულ 2 უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმარს, თავისივე საკანში აქვს საშხაპე (მუდმივი ცივი და ცხელი წყლით). საშხაპის ფართობია 3 კვ.მ. (კარგ მდგომარეობაში).

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა საკანი

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა საკანი მოთავსებულია იზოლირებულ შენობაში, რომელსაც გარედან აწერია „სამედიცინო ნაწილი“, შენობის მეორე მხარეს გამოყოფილია 2 საკანი ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართათვის. 21.52 კვ.მ. ფართობის თითოეულ საკანში მოთავსებულია 2 პატიმარი. 4.45 კვ.მ ფართობის იზოლირებულ ტუალეტსა და იქვე მოწყობილ საშხაპეში მუდმივად არის ცივი და ცხელი წყალი. (ტუალეტში დგას უნიტაზი). არის ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური გათბობა. სავენტილაციო არხი თავად პატიმრებმა ამოქოლეს, ვინაიდან ზამთარში ცივი ჰაერი შედის საკანში. ლამინატის იატაკი, კედლები და ჭერი ნორმალურ მდგომარეობაშია.

## 4.2. პირადი ჰიგიენა

ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს. ბავშვებისა და ქალების პირადი ჰიგიენისთვის (კერძოდ, ორსული და მეძუძური, ასევე მენსტრუალური ციკლის მქონე ქალებისთვის) საჭირო სანიტარული პირსახოცები და წყალი მიწოდებული უნდა იქნას რეგულარულად და უფასოდ.[8]

პატიმართა საცხოვრებელ კორპუსებში დილიდან საღამოს 10 საათამდე ღიაა სააბაზანო ოთახი, სადაც პატიმრებს შხაპის მიღება შეუძლიათ. საკნებში ცხელი წყალი არ არის.

[8] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები). წესი 5.

სამედიცინო პერსონალის და პატიმრების გადმოცემით, თითქმის ყველა საკანში არის წყლის გაცხელების საშუალება, თუმცა ეს ვერ აკმაყოფილებს ცხელ წყალზე მოთხოვნილებას. უწევთ ჭურჭლის, ზოგჯერ პირადი ნივთების რეცხვა, საღამოს ინტიმური ჰიგიენის პროცედურების შესრულება. რეკომენდირებულია ქალებს საკნებშიც ჰქონდეთ ცხელი წყალი, რადგან ცივ წყალთან მუდმივი კონტაქტი უარყოფითად აისახება ქალის ჯანმრთელობაზე; შეიძლება გამოიწვიოს ხელის კანის გაღიზიანება, სისხლძარღვების შევიწროება და შესაბამისად სისხლის მიმოქცევის გაუარესება. ასევე შეიძლება მტევნების წვრილი ძვლების ანთების (რევმატოიდული ართრიტი) და შესაბამისად დეფორმაციის მიზეზიც კი გახდეს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება არ უზრუნველყოფს შემოსულ და უკვე დაწესებულებაში მყოფ ქალებს ჰიგიენური პაკეტებით და მათ, ვისაც ყიდვის საშუალება არა აქვთ, უწევთ სხვა, ხშირად არაჰიგიენური მასალის (ნაჭრების) გამოყენება. აფთიაქს აქვს პამპერსები დიდებისთვის: ხანდაზმული და მწოლიარე პაციენტებისთვის. ზოგჯერ ახლად შემოსული პატიმარისთვის დიდ პამპერს ნაჭრებად ჭრიან და ჰიგიენური საფენის ნაცვლად აძლევენ. რაც შეეხება ამანათის სახით სანიტარული საფენების მიღებას, პატიმართა განცხადებით, რაოდენობის მიწოდება შეზღუდულია და მათ მხოლოდ 10 ცალის შეტანა შეუძლიათ. აღინიშნა, რომ ამგვარი ლიმიტი განსაკუთრებით იმ პატიმრებს უქმნის პრობლემებს, ვისაც ოჯახის წევრები ხშირად ვერ აკითხავენ. ბანგკოკის მინიმალური სტანდარტების თანახმად, ქალები, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ჰიგიენური საშუალებებით და მათ შორის ჰიგიენური საფენებით, რომელიც მათ ძირითად საჭიროებას წარმოადგენს და არა ფუფუნების საგანს.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტების მიხედვით, ქალებისთვის ჰიგიენური მოხმარების საგნების არ მიწოდება დამამცირებელ მოპყრობას უტოლდება.[9] ჰიგიენის ჯეროვნად დაცვა მეტწილად დაკავშირებულია პირად ღირსებასთან. ზემოაღნიშნულ საგნებზე წვდომა უნდა განხორციელდეს იმგვარ პირობებში, რომელიც არ იქნება დაკავშირებული უხერხულობასთან. მისი მიწოდება უნდა ხდებოდეს ავტომატურად, ან სხვა ქალთა მიერ, ან პირის მოთხოვნისამებრ.

## 4.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

დაწესებულების დღის განრიგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას მსჯავრდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი თავისუფალ დროს დაწესებულების ბიბლიოთეკით და სპორტული დარბაზით სარგებლობენ. დადებითად უნდა აღინიშნოს მსჯავრდებულების ჩართულობა  სხვადასხვა სახის სასწავლო და შემოქმედებით აქტივობებში. 2014 წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქარგვის, კერვის,

[9] CPT, 10th General Report, CPT/Inf (2000) 13, par 31.

თექის დამუშავების, გობელენზე მუშაობისა და სხვა სასწავლო და სახელობო კურსები განახორციელეს.

მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში არსებულ სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ყველა პატიმარმა მიიღოს მონაწილეობა. ბიბლიოთეკა, სილამაზის სალონი, კომპიუტერის კაბინეტი განთავსებულია დაწესებულების C და D კორპუსების ტერიტორიაზე. დაწესებულების „A“ კორპუსში მცხოვრები პატიმრების განმარტებით, მათთვის მნიშვნელოვანია ყველა აქტივობაში იყვნენ ჩართული.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაწესებულებაში ყოფნის დროს სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სოციალურ პროგრამებში ჩართვას. რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს. რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებების გამოყენება ხდება დანიშნული სასჯელის, ჩადენილი დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით. ესენია: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად, სარეაბილიტაციო პროგრამები, მსჯავრდებულთა დასაქმება, ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.[10] ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.[11]

2014 წლის მანძილზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 დაწესებულებაში ჩატარდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს სხვადასხვა სახის პროფესიული და სახელობო კურსები. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა სახის ღონისძიებები გაიმართა, კერძოდ, სპექტაკლები, კინოჩვენებები, პოეზიის საღამოები და სხვა.

ცხრილი N1 – 2014 წლის განმავლობაში N5 დაწესებულებაში არსებული სასწავლო კურსები და მონაწილე მსჯავრდებულების რაოდენობა

[10] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 78.

[11] ევროპული ციხის წესები, წესი 28.1

| N5 დაწესებულება | | |
|---|---|---|
| N | დასახელება | მონაწილეთა რაოდენობა |
| 1 | გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი კურსი | 17 |
| 2 | სტილისტი | 42 |
| 3 | ვიზაჟისტი | 13 |
| 4 | ქარგვა | 38 |
| 5 | მებაღეობა | 24 |
| 6 | სანერგე მეურნეობა | 12 |
| 7 | მცირე ბიზნესის წარმოება | 23 |
| 8 | ტყავის აქსესუარების სპეციალისტი | 18 |
| 9 | გობელენი | 17 |
| 10 | სასტუმროს მენეჯმენტი | 21 |
| 11 | ქართული ენის შემსწავლელი კურსი ეთნიკური უმცირესობისთვის | 16 |
| 12 | კოსმეტოლოგია | 40 |
| 13 | კომპიუტერის საოფისე პროგრამები | 30 |
| 14 | ჭრა-კერვა | 29 |
| 15 | მასაჟი | 16 |
| 16 | თექისა და ბატიკის შემსწავლელი კურსი | 19 |
| 17 | ბანგკოკის წესების შესახებ ტრენინგი | 41 |
| 18 | სამოქალაქო განათლების ტრენინგი | 33 |
| 19 | ემოციური აგრესიისა და სტრესის მართვა | 8 |
| 20 | ბავშვის განვითარება და მასთან დაკავშირებული საკითხები | 5 |
| 21 | ცხოვრების ჯანსაღი წესი | 20 |

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 დაწესებულების სოციალური სამსახურის შტატში ირიცხება ერთი ფსიქოლოგი, რომელიც უმეტესად მუშაობს ბრალდებულებთან, ასევე პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის მზად მყოფ პატიმრებთან. დაწესებულების ფსიქოლოგი მსჯავრდებულებს, მხოლოდ პატიმართა მოთხოვნით, ან რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში ხვდება.

რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება მსჯავრდებულთან ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამები გათვლილია ჯგუფებზე.

პატიმართან ინდივიდუალურ მუშაობას ახორციელებს მხოლოდ ფსიქოლოგი, თუმცა 270 პატიმარზე მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი საკმარისი არ არის.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, დასაქმება მოიაზრება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება.[12] დასაქმების მნიშვნელობა ასევე ხაზგასმულია ევროპული ციხის წესებში.[13] N5 დაწესებულებაში ვიზიტის დროს სამეურნეო ნაწილში დასაქმებული იყო 17 მსჯავრდებული.

რეკომენდაციები:

- მოხდეს ქალთა საკნების უზრუნველყოფა ცხელი წყლით
- სააბაზანოები მოეწყოს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას პრივატულობა, მოწესრიგდეს ტრაპები, სხვა ჰიგიენური პირობების დასაცავად აუცილებელი პირობები
- მოხდეს დაწესებულებაში მყოფი პირების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა მათი გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით
- პატიმართა რეაბილიტაციისა და შემდგომი რესოციალიზაციის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნას ყველა პატიმრის ჩართვა სასწავლო და სარეაბილიტაციო აქტივობებში
- ქალ პატიმართა განსაკუთრებული მოწყვლადობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნას ფსიქოლოგის შტატის გაზრდა, რაც შესაძლებელს გახდის პატიმრებთან ინდივიდუალური მუშაობის ჩატარებას

## 5. სამედიცინო მომსახურება

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება[14] და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას, ჰიგიენურ საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას.

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე და წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად);

12 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 66 (1)
13 ევროპული ციხის წესები, წესი 26.1-26.17
14 Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf [last visit on 31.05.2014]

ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი[15].

N5 დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია სამედიცინო ნაწილი, სადაც არის საორდინატორო, ინტენსიური დაკვირვების ოთახი, საპროცედურო, სტომატოლოგის, გინეკოლოგის და ქირურგიული კაბინეტები. ასევე წამლების სამარაგო და პალატები, სადაც განთავსებულია 60 სტაციონარული საწოლი. ამასთან, დაწესებულების A, C და D კორპუსებში არის პირველადი ჯანდაცვის ოთახები.

დაწესებულებაში 18 სამედიცინო და დამხმარე პერსონალია, მათ შორის, 1 ფარმაცევტი და 1 ქირურგი. დღის განმავლობაში არის 1 მორიგე ექიმი და ექთანი. N5 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულებაში იწვევენ შემდეგი კომპეტენციის მქონე კონსულტანტებს: ფსიქიატრს, ნევროლოგს, ორთოპედს, სტომატოლოგს, რენტგენოლოგს, ლაბორანტს, ენდოკრინოლოგს და გინეკოლოგს. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებას 2 გინეკოლოგი კონსულტანტი ჰყავს, რომელთაგან 1 ქალია, ხოლო მეორე მამაკაცი. მსჯავრდებულები თავად ირჩევენ რომელ სპეციალისტთან სურთ შეხვედრა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი; სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“[16].

ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციის ექიმებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პატიმრების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც არ შეესაბამება სამედიცინო მომსახურეობის დროულად მიწოდების სტანდარტებს. მსჯავრდებულები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ნევროლოგის იშვიათი ვიზიტის გამო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პატიმარი ქალების და სამედიცინო პერსონალის განმარტებით დაწესებულებაში დეკემბრის შემდეგ არ ყოფილა რევმატოლოგი.

პრობლემებია დაწესებულებაში მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ. დოკუმენტაციის შესწავლისა და მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში პაციენტი ვერ იღებს ექიმის მიერ მკურნალობის კომპლექსური კურსის ფარგლებში დანიშნულ ძირითად მედიკამენტებს. რიგ შემთხვევებში, ხდება დანიშნული მედიკამენტების ჩანაცვლება სხვა მედიკამენტებით, რაც პაციენტების

[15] General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.
[16] Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

უკმაყოფილებას იწვევს. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს აფთიაქი, სადაც ბრალდებულები/მსჯავრდებულები შეძლებენ თავისი სახსრებით შეიძინონ მედიკამენტები.

საყურადღებოა ქალი პატიმრებისათვის გეგმიური ოპერაციული მკურნალობის ჩატარების საკითხი. მამაკაცი პატიმრების მსგავსად, ქალი პატიმრები დარეგისტრირებულნი არიან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ერთიან ელექტრონულ ბაზაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ოპერაციული მკურნალობის ჩასატარებლად პაციენტს რამდენიმე თვე უწევს ლოდინი, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს და სასწრაფო წესით სტაციონარში გაყვანა ხდება საჭირო. უნდა აღინიშნოს, რომ  თუ პატიმარს რიგმა მენსტრუალური ციკლის დროს მოუწია, იგი არ გაჰყავთ ოპერაციული მკურნალობის ჩასატარებლად და მას განმეორებით უწევს დარეგისტრირება. 2015 წლის იანვარ-თებერვლის თვეში ასეთი 10 შემთხვევა დაფიქსირდა. აქვე უნდა აღინიშნოს მსჯავრდებულ ს.მ.-ს შემთხვევა, რომელსაც დასმული აქვს დიაგნოზი: საშვილოსნოს პოლიპი. ოპერაციული მკურნალობის მოთხოვნა 2014 წლის 11 აგვისტოს გაიგზავნა სამედიცინო დეპარტამენტში, თუმცა მონიტორინგის ჩატარების დღეს მასზე პასუხი კვლავ არ იყო მიღებული.

## 5.1. რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ბანგკოკის წესების მე-6 წესის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პატიმარ ქალებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო გამოკვლევა, პირველადი საჭიროებების გამოსავლენად და ასევე შემდეგი ფაქტორების განსასაზღვრად: ქალი პატიმრების რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია, მიმდინარე ან წინა (ბოლო) ორსულობა, მშობიარობა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებაში მოთავსების დროს ქალ პატიმარს უტარდება ორსულობის ტესტი. იმ შემთხვევაში თუ პატიმარს არ სურს ბავშვის გაჩენა, იგი წერს განცხადებას, რის შემდეგაც მისი გაყვანა ხდება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში და უტარდება ნაყოფის მოცილების ოპერაცია თავისი ხარჯით, ან სამედიცინო დეპარტამენტის დაფინანსებით. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის განხორციელების დროს ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებული იყო ერთი ორსული პატიმარი.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების დეპარატმენტის N5 დაწესებულებიდან 2014 წლის განმავლობაში სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაყვანის 50 შემთხვევა დაფიქსირდა.

„პატიმარმა ქალმა უნდა მიიღოს განათლება და ინფორმაცია ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აივ ინფექციის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური

ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ."[17] აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ნოემბერში N5 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს ჩაუტარდათ ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, გაუკეთდათ პაპილომა ვირუსთან დაკავშირებული გამოკვლევები (პაპ-ტესტი). ამასთან, საეჭვო ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დამატებით ჩაუტარდათ ექოსკოპიური გამოკვლევა და გაიარეს სპეციალისტის კონსულტაცია. გამოკვლევების ჩატარება იყო ნებაყოფლობითი. მიუხედავად იმისა, რომ დარიგდა სპეციალური ბროშურები, პატიმართა ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია, ამგვარი გამოკვლევების ჩატარების მნიშვნელობაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ პატიმარი ქალების ნაწილმა გამოკვლევებში მონაწილეობაზე უარი თქვა, რადგან არ სურდათ მამაკაც სპეციალისტებთან გამოკვლევა.

## 5.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები

ბანგკოკის წესების მე-16 წესის თანახმად, ციხის ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობის სამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ქალთა ციხეებში ფსიქიკური ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, იმისთვის რომ ქალ პატიმრებს შორის მოხდეს თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია და უზრუნველყოფილი იქნას შესაფერისი, გენდერულად სპეციფიკური და სპეციალიზირებული მხარდაჭერა მათთვის, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ. N5 დაწესებულებაში მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც მონიტორინგის დროს ჩართული იყო 6 პატიმარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის დასაწყისიდან 2015 წლის თებერვლამდე დაწესებულებაში დაფიქსირდა სუიციდის მცდელობის 3 შემთხვევა.

ბანგკოკის წესების N15 წესის თანახმად, ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს მკურნალობის სპეციალიზებულ პროგრამებს, რომელიც შედგენილია სპეციალურად ნარკოდამოკიდებულების მქონე ქალებისთვის. აღსანიშნავია, რომ ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში არ მოქმედებს მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა. იმ შემთხვევაში თუ პატიმარი საპატიმროში მოხვედრამდე ჩართული იყო აღნიშნულ პროგრამაში, იგი გაყავთ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ასრულებს ამ პროგრამას. სხვა შემთხვევაში პაციენტს ხვდება ნარკოლოგი და ადგილზე უნიშნავს მკურნალობას. გამწვავების შემთხვევაში კი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამკურნალო დაწესებულებაში გაყავთ.

რეკომენდაციები:

- სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები

[17] ბანგკოკის წესები - წესი 17

- უზრუნველყოფილ იქნას მსჯავრდებულების დანიშნული მედიკამენტებით მომარაგება
- პატიმრები უზრუნველყოფილ იქნენ დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით
- უზრუნველყოფილი იქნას პატიმარი ქალებისთვის ცალკე ელექტრონული ბაზის შექმნა გეგმიური სამედიცინო მომსახურების მიღების დროული და ეფექტური განხორციელებისათვის
- უზრუნველყოფილი იქნას ქალი პატიმრებისთვის პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებების გატარება
- უზრუნველყოფილი იქნას დაწესებულებაში მეტადონის პროგრამის ამოქმედება

## 6. დისციპლინური პასუხისმგებლობა

„ევროპული ციხის წესების“ თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც უკიდურესი საშუალება[18]. ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კონფლიქტი პატიმრებთან და პატიმრებს შორის[19]. ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული[20]. დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სასჯელები.[21] სასჯელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[22] სასჯელის სახით სამარტოო საკანში მოთავსება პატიმარს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.[23]

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 დაწესებულებაში 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის თებერვლის ჩათვლით, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 72 პატიმარს, 4 შემთხევაში გამოყენებული იქნა პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება, 9 შემთხვევაში საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა, 5 შემთხვევაში - გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა (საოჯახო პაემნის შეზღუდვა - 2, სატელეფონო საუბრის შეზღუდვა - 2). სხვა შემთხვევებში გამოყენებული იქნა საყვედური და გაფრთხილება. არც ერთი ორსული პატიმრის მიმართ, დასჯის სახით არ ყოფილა გამოყენებული სამარტოო საკანში მოთავსება.

[18] ციხის ევროპული წესები. წესი 56.1
[19] იქვე, წესი 56.2
[20] იქვე, წესი 60.2
[21] იქვე, წესი 60.3
[22] იქვე, წესი 60.4
[23] იქვე, წესი 60.5

## 7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისთვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. „სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი სახით შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[24]

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კი მსჯავრდებულ ქალს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. N5 დაწესებულებაში განთავსებული ქალი მსჯავრდებულები სარგებლობენ მხოლოდ საოჯახო პაემნის უფლებით, რომელიც ხანმოკლე პაემნისთვის განკუთვნილი კაბინების გასწვრივ არსებულ დერეფანში, ტიხრით გამოყოფილ ადგილებში მიმდინარეობს. ოთახში არსებული ინფრასტრუქტურის გამო ირღვევა პირადი საუბრის კონფიდენციალობა, რადგან პატიმარი შესაძლოა, სხვა პატიმრების თანდასწრებით ოჯახის წევრებს თამამად ვერ ესაუბროს.

2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 დაწესებულებაში 1 374 საოჯახო პაემანი შედგა.

„ქალ პატიმართა მოპყრობისა და არასაპატიმრო სასჯელთა შესახებ“ გაეროს წესების (ე.წ. ბანგკოკის წესების) 27-ე მუხლის თანახმად, ქალ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ოჯახური ტიპის პაემნებით სარგებლობის უფლება მამაკაცი პატიმრების თანაბრად. გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრობის კოდექსის თანახმად, მამრობითი სქესის მსჯავრდებულები 23 საათიანი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ, ხოლო, ქალი მსჯავრდებულები - მხოლოდ 3 საათიანი საოჯახო პაემნით, პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული პირობები წინააღმდეგობაში მოდის „ბანგკოკის წესებით“ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტთან. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის სულისკვეთებას. პატიმრობის კოდექსის 124[1] მუხლის თანახმად, ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა, უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მნიშვნელოვანია, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ყველა აუცილებელი ზომა ქალ

[24] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

პატიმართა მიერ ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

პატიმრობის კოდექსის 26-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციამ მსჯავრდებულს შეიძლება მისცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე, ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით, ან სოციალური აქტივობის განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ ქალი მსჯავრდებულების გარკვეული ნაწილი ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას და რამდენიმე მათგანს უსარგებლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით.

რეკომენდაციები:

- N5 დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რათა ქალ პატიმრებს, მამაკაცი პატიმრების მსგავსად მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა
- უზრუნველყოფილი იქნას საოჯახო პაემნის ოთახის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომ პატიმრებმა ოჯახის წევრებთან კონფიდენციალურად საუბარი შეძლონ

## 8. დედათა და ბავშვთა მდგომარეობა

მონიტორინგის ჯგუფმა დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი მოინახულა, თითოეულ პატიმარს გაესაუბრა და დეტალური შემოწმება ჩაატარა.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ორსული, მშობიარე და ბავშვებთან ერთად განთავსებული ქალებისთვის განსაკუთრებული ღონისძიებებია გათვალისწინებული: „ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე სადგომები ორსული ქალების მოსავლელად. შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ღონისძიება უნდა განხორციელდეს, რომ მშობიარობა მოხდეს არა ციხის, არამედ სამოქალაქო საავადმყოფოში. იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი დაიბადება ციხეში, აღნიშნული არ უნდა დაფიქსირდეს დაბადების მოწმობაში.“[25] ასევე მნიშვნელოვანია ბავშვის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა, ბავშვის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური და მათი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ემსახურება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს. თუ ბავშვი დაიბადა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ეს გარემოება არ უნდა იყოს აღნიშნული მისი დაბადების ჩანაწერში. [26]

[25] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები/ წესი 23/ 1ნაწილი

[26] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) წესი 3

მონიტორინგის პერიოდში დაწესებულებაში სულ 6 დედა და 6 ბავშვი იყო. ბავშვების ასაკი 2 თვიდან 2.5 წლამდე მერყეობდა, მათ დედებთან ერთად დაწესებულებაში დარჩენის უფლება 3 წლამდე აქვთ, შემდეგ აუცილებელია მოხდეს მათი გაყვანა[27].

ბანკოკის წესების თანახმად: „იმის თაობაზე გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, უნდა იქნეს მიღებული ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.“ [28] ბავშვის განცალკევებისას არ უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ფორმალური წესები, რომლებიც შესაბამისი ასაკის მიღწევის შემდეგ ავტომატურად იმოქმედებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების დონე.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ მეურვეს მოძიების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში ბანკოკის წესები იძლევა პატიმართა დროებითი გათავისუფლების შესაძლებლობასაც გონივრული ვადით. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, რომელიც უნდა დაბალანსდეს სასჯელაღსრულების სისტემისთვის დამახასიათებელი საჯარო ინტერესებით. [29]

სასჯელაღსრულების სისტემაში ბავშვისა და დედის განშორების საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას. თავისთავად შეუძლებელია ამ სტრესის მთლიანად აღმოფხვრა, თუმცა მისი მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელია. ამჟამად, ეს პროცესი საკმაოდ სტრესულია, როგორც დედისთვის ასევე ბავშვისთვის. ერთ–ერთი დედა, რომლის შვილი წელს 3 წლის ხდება და შესაბამისად, უნდა დატოვოს დაწესებულება, ძალიან განიცდიდა ამ ფაქტს. ქალს დაწესებულების ფსიქოლოგთან რამდენჯერმე ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება, რათა პროცესი მისთვის გაადვილებულიყო.

C კორპუსში მოხდა გასაუბრება დედასთან, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ბავშვი 3 წლის ასაკის მიღწევამდე გაუშვა ოჯახში, რადგან ესეთი გადაწყვეტილება ბავშვისთვის საუკეთესოდ ჩათვალა. მსჯავრდებულის თქმით, მას ფსიქოლოგიურად დაეხმარნენ დაწესებულების თანამშრომლები. ნათესავებს პაემანზე ბავშვი ხშირად მოჰყავთ, რაც მდგომარეობას უმსუბუქებს.

მსჯავრდებულმა დედებმა აღნიშნეს შემდეგი პრობლემა. დაწესებულების წესების მიხედვით, თუ ნათესავები ბავშვს 10 დღეზე მეტი ხნით გაიყვანენ, დედას უწევს დედათა და ბავშვთა კორპუსის დატოვება და ჩვეულებრივ საცხოვრებელში გადასვლა, რაც

[27] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 72

[28] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) წესი 52

[29] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები). წესი 52 2. 3.

დისკომფორტს ქმნის, რადგან უწევს ახალ გარემოსთან შეგუება, ახალ ხალხთან ურთიერთობა, წარმოიშობა ინფექციის გავრცელების მაღალი საშიშროება, რაც საფრთხეს ქმნის სხვა დედებისთვის და ბავშვებისთვის. ამის გამო, მსჯავრდებულები ერიდებიან ბავშვების 10 დღეზე მეტი ხნით დაწესებულებიდან გაშვებას, ხოლო ვინც რეგიონიდანაა, საერთოდაც უარს ამბობს ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე.

## 8.1. საცხოვრებელი პირობები

შემოწმებულ იქნა დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი კორპუსის პირობები და ჰიგიენური მდგომარეობა. „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დედებთან ერთად მოთავსებული ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ციხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან“[30].

დედათა და ბავშვთა კორპუსში გათბობა დამაკმაყოფილებელია. ფანჯრებზე არ არის ფარდები, რაც დისკომფორტს ქმნის. კორპუსში ცხელ წყალზე წვდომა შეუზღუდავად აქვთ.

გამოიკვეთა ბავშვთა თბილი ტანსაცმლით უზრუნველყოფის საკითხი. აღინიშნა, რომ პატიმრებს აქვთ ბავშვების ტანსაცმლის და განსაკუთრებით ფეხსაცმლის პრობლემა, ხოლო მათ ახლობლებს არა აქვთ შეძენის საშუალება. ამიტომ ბავშვები ცივ ამინდში გარეთ არ გაჰყავთ. განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს თბილი ფეხსაცმელი და ქურთუკები.

## 8.2. კვება

მონიტორინგის დროს ასევე მნიშვნელოვანი იყო დედათა და ბავშვთა საკვებით უზრუნველყოფის საკითხი. დედები უკმაყოფილოები არიან იმით, რომ შეზღუდვა დაწესებულია ამანათის სახით ბავშვთა პროდუქტებზე; მაგალითად ორცხობილა მხოლოდ 500 გრამია დაშვებული. ციხის მაღაზიაში სხვა ორცხობილა შემოდის, რომელიც დედების თქმით, ძვირია და ბავშვებსაც არ მოსწონთ. კვირაში მხოლოდ 1 ლიტრი რძეა გათვალისწინებული, რაც საკმარისი არ არის. შოკოლადის გარდა არ შემოდის კარამელი. ამოღებულია მჭადის ფქვილი, თუმცა ერთ–ერთ დედას დართეს ნება, რადგან მისი შვილი ინდივიდუალურ დიეტაზეა.

ბუნებრივ კვებაზე 4 ბავშვია. ბავშვის ხელოვნური საკვებით მომარაგება ხდება გამოწერით. როგორც ერთ–ერთმა დედამ, რომელსაც ბავშვი ხელოვნურ კვებაზე ჰყავს, აღნიშნა, ერთი თვეა ელოდება ჰუმანა N2-ს და ბავშვს კვებავს პრე-ჰუმანათი. დედების საჩივართან დაკავშირებით, რომ იგვიანებს ჰუმანა N2, ფარმაცევტის განცხადებით ჰუმანა მონიტორინგის მეორე დღეს, 20 თებერვალს დარიგდა.

[30] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები). წესი 51

ყოველი თვის 22 რიცხვში, ხოლო თუ ეს უქმე დღეებს ემთხვევა, დედებს წინასწარ მიეწოდებათ ბავშვისთვის განკუთვნილი პამპერსი – თვეში 110 ცალი თითოზე, ზომების მიხედვით და ხელოვნური საკვების განსაზღვრული რაოდენობა.

თუმცა აღინიშნა, რომ დარიგებული საკვები არ არის საკმარისი სრულფასოვანი კვებისთვის. მაგალითად: კარტოფილი და ხახვი 3-4 ცალი, 2 დიდი სტაფილო, ხორცის ფარში 100 გრ. კვირაში ერთხელ. ქათამი კვირაში 2-ჯერ 500გრ. მწვანილი 200გრ. კარაქი 250 გრ, კვერცხი - 7 ცალი. არ აძლევენ ყველს, თაფლს.

დედებმა აღნიშნეს, რომ გამოყოფილი პროდუქტი არასაკმარისია იმისთვის, რომ სრულფასოვანი საკვები გაამზადონ თავიანთთვის და ბავშვებისთვის, რომლებიც დამატებით კვებაზე არიან. ისინი იშვიათად იღებენ სასადილოდან პატიმარი ქალისთვის განკუთვნილ საჭმელს. მაგ. მარხვისას ლობიოს. თუმცა სასადილოს პერსონალმა განაცხადა, რომ დედები ხშირად თავად ამბობენ უარს თავიანთ კუთვნილ პატიმრის ულუფაზე.

## 8.3. სამედიცინო მომსახურება

შემოწმდა დაწესებულებაში არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდების ხარისხი, ბავშვები სარგებლობენ დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით. ბავშვებს უტარდებათ გეგმური აცრები და ანალიზები. პედიატრიც წინასწარ ატყობინებს მთავარ ექიმს და თანხმდებიან კონსულტაციის თარიღზე. საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს უტარდებათ ბავშვთა ფსიქოლოგის კონსულტაცია.

დედებს სამშობიარო სახლიდან შემოსვლისას ეძლევათ შემდეგი პირველადი საჭიროების ნივთები (სასაჩუქრე პაკეტი): სააბაზანოს ტაშტი, გაზგამყვანი მილი, მიკრო ოყნა, გვირილის ყვავილი, ორკბილას ბალახი, წყალბადის ზეჟანგი, ბრილიანტის მწვანე, ბამბა, ბოთლი საწოვარით 2 ცალი, საწოვარა და ღამის ქოთანი.

ყოველთვიურად ხდება შემდეგი მოხმარების პროდუქტების დარიგება: ბავშვის საპონი - 2 ცალი, ბავშვის შამპუნი, ბავშვის პუდრი, ბავშვის კრემი 200 მლ., ბავშვის ზეთი, სველი საწმენდი, ბამბის ჩხირები. მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებით იღებენ ბოთლებს საწოვარათი.

დედები უკმაყოფილოები არიან იმით, რომ დაწესებულებაში დასაშვებია მხოლოდ ერთ ცალი „ჯონსონ ბეიბის“ საბავშვო კრემის შეტანა. დაწესებულების მაღაზიაში 1 თვეა შეუკვეთეს, თუმცა არ მიუტანიათ. ასევე, გვიანდება დერმატოლოგის მიერ ბავშვისთვის დანიშნული საცხის მიწოდება, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამო, შეთავაზებულ იქნა შემცვლელი საშუალება, რაზეც უარი განაცხადეს.

## 8.4. განათლება და ღონისძიებებში ჩართულობა

დაწესებულებაში შვილებთან ერთად მოთავსებულ ქალებს არ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ სასწავლო კურსებში. მათ აღნიშნეს, რომ მიუხედავად სურვილისა, ვერ ერთვებიან დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ ტრენინგებში, ვინაიდან არ აქვთ ბავშვის დატოვების შესაძლებლობა. ასევე გასათვალისწინებელია გარემოებები, როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ან რაიმე სხვა მიზეზით დედა ვერ ახერხებს ბავშვზე ზრუნვას, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დატოვოს ბავშვი ალტერნატიულ ზრუნვაში. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ პატიმართა ნათესავები ხშირად მოშორებით, რეგიონებში ცხოვრობენ და საჭიროების დროს მყისიერ მხარდაჭერას ვერ ახერხებენ. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, როდესაც ნებადართულია ჩვილი ბავშვების დედასთან დაწესებულებაში დატოვება, გათვალისწინებული უნდა იყოს ბაგა–ბაღის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური პერსონალით, სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვების დატოვება, იმ პერიოდებში, როდესაც ისინი მოკლებულნი არიან დედის მზრუნველობას.[31]

დაწესებულების ბიბლიოთეკაში არის ლიტერატურა დედობის, ბავშვის აღზრდის და მოვლის, კვების საკითხებზე. პატიმრების განცხადებით, უსარგებლიათ ამ ლიტერატურით.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და დაიხვეწოს ბავშვთა მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურები ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით; მოხდეს მათი გარესამყაროსთან შეგუება, რათა დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბავშვთა ტრამვირება
- მოხდეს დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების სათანადო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფა
- საჭიროების წარმოქმნის დროს, რაც შეიძლება დედის სხვადასხვა აქტივობებში ჩართვით ან მისი ავადმყოფობით იყოს განპირობებული, უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის მომვლელის ან დამხმარე პირის მომსახურება
- უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებაში მყოფი დედების პროგრამებსა თუ ღონისძიებებში ჩართვა, მათი სურვილის შესაბამისად

[31] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები/ წესი 23. 2

## 9. უმცირესობის წარმომადგენელი ქალი პატიმრები

### 9.1. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) თანახმად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქალი პატიმრები წარმოდგენილნი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფებიდან. შესაბამისად, უნდა განავითაროს ისეთი პროგრამები და სერვისები, რომლებიც შეესაბამებიან მათ მოთხოვნებს.

ციხე შეიძლება ზოგადად იწვევდეს დისკომფორტს, მაგრამ ამან არ უნდა მოახდინოს რელიგიური ან სხვა სუბსტანციური საკითხების ხელყოფა და იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს აუცილებელია. ამ დროს ქალი პატიმრები მხოლოდ გენდერულად სპეციფიური საჭიროებების წინაშე არ დგანან და აუცილებელია ყველა სხვა ინდივიდუალური მახასიათებლის მხედველობაში მიღება.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული იყო 23 უცხო ქვეყნის მოქალაქე. 2014 წელს დაწესებულებიდან გათავისუფლდა 12 უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმარი ქალი. მონიტორინგის დროისთვის პატიმართა მოქალაქეობრივი განფენილობა შემდეგი იყო: 18 რუსი, 37 აზერბაიჯანელი, 23 სომეხი, 1 ნიგერიელი, 2 თურქი, 2 უზბეკი, 4 უკრაინელი, 4 მოლდოველი, 1 უნგრელი, 3 იეზიდი, 1 არაბი, 2 ქურთი და 3 ჩინელი.

დაწესებულებაში განთავსებული ქალი პატიმრებიდან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი იყო 68 ბრალდებული/მსჯავრდებული. მათგან 41 მუსლიმი, 23 სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი, 1 კათოლიკე და 3 იეზიდი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული უფლებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსულო წარმომადგენლობებთან კომუნიკაციის უფლება და რელიგიური მრწამსის მიხედვით რიტუალების განხორციელების შესაძლებლობა.

დადებითად უნდა აღინიშნოს არაქართულენოვანი მსჯავრდებულისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობის, დისციპლინური დარღვევის და კორესპონდენციის თარგმნისთვის დაწესებულებაში თარჯიმნის მოწვევის პრაქტიკა. აღნიშნული მიზნით, 2014 წლის განმავლობაში N5 დაწესებულებაში 26 შემთხვევაში იქნა მოწვეული თარჯიმანი.

თუმცა, ერთ–ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულის განცხადებით, დაწესებულებაში მოყვანისას არ აუხსნეს უფლება-მოვალეობები, არ განუმარტეს დაწესებულების რეგულაციების შესახებ ინფორმაცია.

პატიმრების განმარტებით, ვინაიდან სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა არ იციან რუსული ენა, მათი სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიებები სათანადოდ არ ხორციელდება.

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის, მათ შორის ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით მოძიებული იქნას შესაბამისი სპეციალისტები
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმარი ქალების უზრუნველყოფას ჰიგიენური საშუალებებით გამომდინარე იქიდან, რომ მათი ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია შეზღუდულია და ისინი ვერ შეძლებენ ისეთივე აქტივობით მიიღონ ამანათები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის შემთხვევაში შეძლებდნენ
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ კომუნიკაციას გარე სამყაროსთან. კერძოდ, სატელეფონო ზარის განხორციელების შესაძლებლობას

## 9.2. ლგბტ პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა

ლგბტ პატიმრები განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან სასჯელაღსრულების დახურული ტიპის დაწესებულებებში. საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულების გავლენა უფრო მკვეთრად და ხშირად აგრესიული ფონით ვლინდება ისეთ ტიპის ადგილებში, როგორიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჰომოსექსუალური ქცევის დეკრიმინალიზაცია 2000 წელს მოხდა, კვლავ რჩება საკითხები, რომელიც კანონმდებლობის დონეზე გარკვეულ სტიგმებს აყალიბებს. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს ჰომოფობიურ გარემოში, სადაც ლგბტ პირთა მიმართ ძალადობა ხშირად „გამართლებული ქმედებაა“.

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული ლგბტ პატიმარების მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება გბტ პატიმარი კაცების მდგომარეობისაგან. ერთ–ერთი მთავარი განსხვავება განთავსების საკითხსა და პატიმართა შორის მიმღებლობას უკავშირდება. გბტ პატიმრები მოთავსებულნი არიან განცალკევებით და მათთან კომუნიკაცია შეზღუდული აქვთ სხვა პატიმრებს. ხოლო ქალთა დაწესებულებაში მათი გამიჯვნა არ ხდება, რადგან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ საჭიროებენ ასეთი ტიპის ჩარევას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლგბტ პატიმრებს არაერთი პრობლემა აწუხებთ, რომელიც არანაკლებ საყურადღებოა, ვიდრე პატიმართა შორის არსებული კომუნიკაცია.

დაწესებულების ადმინისტრაცია გამორიცხავს რაიმე ტიპის ინცინდენტებს პატიმართა შორის სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მიზეზით, მაგრამ

მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პატიმართა შორის კონფლიქტის არსებობისას პირის ორიენტაციაზე და იდენტობაზე მითითება როგორც კონფლიქტის იარაღი, ისე გამოიყენება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადმინისტრაცია არ ფლობს, ან არ ამბობს რომ ფლობს მონაცემებს თვითიდენტიფიცირებულ ლგბტ პატიმრებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრები ღიად საუბრობენ ამ საკითხებზე. ადმინისტრაცია ინფორმაციის არ ქონას ხსნის შესაბამისი საჭიროების არ არსებობით. ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა არ შეიძლება დადებითად შეფასდეს, რადგან ადმინისტრაცია ვალდებულია უსაფრთხოების ზომების გატარებისას ყველა შესაძლო რისკი გაითვალისწინოს; მათ შორის ის რისკებიც, რომლებიც შეიძლება პირის მიმართ ძალადობრივი ან დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი გახდეს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არ არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები, სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა ლგბტ პატიმრებთან მოქცევისათვის, ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სპონტანურია და არ არის საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში. ციხის ადმინისტრაცია არ თანამშრომლობს ლგბტ პროფილის მქონე ორგანიზაციებთან.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრის განთავსებისას ხდება მისი სურვილს გათვალისწინება, თუ ეს საფრთხის შემცველი არაა როგორც ამ ორი ადამიანის, ისე ციხის რეჟიმისათვის, თუმცა მათი ინფორმაციით პრაქტიკაში არ ჰქონიათ შემთხვევა, როცა ქალი პატიმარი საკანში პარტნიორთან განთავსებას მოითხოვდა. განსხვავებული ინფორმაცია მოგვაწოდეს პატიმრებმა. მათი განცხადებით, ადმინისტრაცია დაბრკოლებას არ უქმნის მათ განთავსებას პარტნიორებთან, თუმცა ყველა შემთხვევაში ითხოვს განმარტებას, თუ რითია განპირობებული ერთად განთავსების სურვილი.

მსჯავრდებულები მიუთითებენ, რომ მიუხედავად ადმინისტრაციის კეთილგანწყობისა, მაინც ცდილობენ რეჟიმის დაცვას, რათა არ მოხდეს მათი დაშორება პარტნიორებთან და სხვა საკანში/კორპუსში გადაყვანა. მათივე ინფორმაციით, ამჟამინდელი ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ სურვილებს და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ არც პატიმრები და არც ციხის ადმინისტრაცია არ მიუთითებს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო მომხდარ კონფლიქტს, დისკრიმინაციისა თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. თუმცა, ადმინისტრაცია არ ფლობს საკმარის ინფორმაციას რისკების შესაფასებლად. სოციალური მუშაკი არ მუშაობს ლგბტ პატიმრებთან სპეციფიკური დახმარების ორგანიზებისათვის. ასევე, ფსიქოლოგის სპეციალიზებული მუშაობა მათთან არ ხორციელდება.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს სტრატეგია და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც უზრუნველყოფს ლბტ პატიმრების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომების პრევენციას
- გატარდეს სპეციალური ღონისძიებები დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ლბტ პირთა უფლებების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას შესაძლო რისკების შესახებ
- განთავსებისას გათვალისწინებული იქნას დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ლბტ პატიმართა განთავსება იმ პატიმრებთან, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას
- დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლბტ პატიმრების მონაწილეობას ციხის ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებში
- დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ლგბტ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ჯგუფების ჩართვა სპეციალური პროგრამების დანერგვისათვის
- გაძლიერდეს ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობა ლბტ პატიმრებთან და სხვა პატიმრებთან, რათა გაიზარდოს პატიმართა შორის მიმღებლობა, თვითიზოლაციისა და თვითდაზიანების რისკების პრევენციისათვის